

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ
2016 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიში**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური 2016 წლის განმავლობაში მუშაობას წარმატებულად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №2 დადგენილების „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ და 2014 წლის 27 აგვისტოს №27 დადგენილების „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნების სრული დაცვით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 5 ნოემბრის N332 ბრძანებით „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა სამუშაოთა აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ განისაზღვრა საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის სტრუქტურა. კერძოდ:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - 1 სამტატო ერთეული;

4 ქვედანაყოფი:

1. საბიუჯეტო დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილება:

განყოფილების უფროსი - 1 სამტატო ერთეული;

მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტის ფორმირებისა და ანალიზის საკითხებში - 1 სამტატო ერთეული;

2. საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებისა და სახაზინო-საბანკო მომსახურების განყოფილება:

განყოფილების უფროსი - 1 სამტატო ერთეული;

წამყვანი სპეციალისტი საბიუჯეტო ვალდებულებებისა და საგადახდო მოთხოვნის დოკუმენტაციის მომზადების საკითხებში - 1 სამტატო ერთეული;

წამყვანი სპეციალისტი მუნიციპალური ქონების აღრიცხვის საკითხებში - 1 სამტატო ერთეული;

უფროსი სპეციალისტი საგადასახადო შემოსულობების აღრიცხვისა და შრომის ანაზღაურების საკითხებში - 1 სამტატო ერთეული;

3. მუნიციპალური შესყიდვების განყოფილება:

განყოფილების უფროსი - 1 სამტატო ერთეული;

წამყვანი სპეციალისტი მუნიციპალურ შესყიდვებთან დაკავშირებული

დოკუმენტაციის წარმოების საკითხებში - 1 სამტატო ერთეული;

უფროსი სპეციალისტი ხელშეკრულების შემუშავებისა და პირობების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლის საკითხებში - 1 სამტატო ერთეული;

4. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება:

განყოფილების უფროსი - 1 სამტატო ერთეული;

წამყვანი სპეციალისტი ტრანსპორტით, საწვავ-საცხები მასალებით და კომუნალური მომსახურების საკითხებში - 1 სამტატო ერთეული;

უფროსი სპეციალისტი შენობა-ნაგებობების მოვლის, დაცვისა და სასაწყობე მეურნეობის მართვის საკითხებში - 1 სამტატო ერთეული;

საბიუჯეტო დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 9 066,7 ათ.ლარით.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 14 ცვლილება. ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

გარდა ამისა ადგილობრივი შემოსავლების მაქსიმალურად მობილიზაციის ხარჯზე განხორციელდა ბიუჯეტის ზრდა 1 947,8 ათ. ლარით. მთლიანად წლის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ბიუჯეტის ზრდამ ნაშთების ჩათვლით შეადგინა 10 096,6 ათ.ლარი.

2016 წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად 2016 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **19 163,3** ათ.ლარით:

- 1) გადასახადები - 2 269,3 ათ.ლარი
- 2) ტრანსფერი - 13 184,2 ათ.ლარი
- 3) სხვა შემოსავლები - 1 436,7 ათ.ლარი
- 4) არაფინანსური აქტივების კლება - 1 101,5 ათ.ლარი
- 5) შემოსავალი ნაშთიდან - 1 171,7 ათ.ლარი.

შემოსულობები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 2015 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა **19 042,4** ათ. ლარი, წლიური გეგმის **105,84 %-ი** (წლიური დაზუსტებული გეგმა 17 991,7 ათ.ლარი, (იხ.დანართი #2)

შემოსავლების წლიური გეგმა ტრანსფერის გარეშე შესრულებულია **126,88 %-ით** (გეგმა 3 706,0 ათ.ლარი, შესრულება 4 702,3 ათ.ლარი), მათ შორის:

- ქონების გასახადის გეგმა 145,28 %-ით (წლიური გეგმა 1 714,3 ათ.ლარი შესრულება 2 490,5 ათ.ლარი)
- საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკური პირებიდან გეგმა შესრულებულია 115,24 %-ით. (წლიური გეგმა 555,0 ათ. ლარი შესრულება 639,6 ათ. ლარი);
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 109,66 %-ით (წლიური გეგმა 180.0 ათ.ლარი, შესრულება 197,4 ათ.ლარი);
- შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 186,33 %-ით(წლიური გეგმა 30,0 ათ.ლარი, შესრულება 55,9 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 16,16 %-ით (გეგმა 120,0 ათ.ლარი, შესრულება 43,4 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 84 %-ით (გეგმა 30,0 ათ.ლარი შესრულება 25,2 ათ.ლარი);
- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 106,58 %-ით (წლიური გეგმა 1005,7 ათ.ლარი,შესრულება 1071,9 ათ.ლარი);
- არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 109,88 %-ით (წლიური გეგმა 1 101,5 ათ.ლარი, შესრულება 1 210,4 ათ.ლარი);

2016 წლის განმავლობაში მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 13 129,7 ათ.ლარი, მათ შორის:

- ა) გათანაბრებითი ტრანსფერი – 5 483,6 ათ.ლარი ;
- ბ) მიზნობრივი ტრანსფერი – 174 ათ.ლარი ;
- გ) ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 7 441,2 ათ.ლარი;
- დ) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი - 30,9 ათ.ლარი.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი (ხ ა რ ჯ ე ბ ი)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა შეადგენს 19 163,3 ათ.ლარს (იხ.დანართი №3). ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2016 წლის მდგომარეობით შეადგინა 16 981,9 ათ. ლარი ანუ წლიური გეგმის 88,61 %, მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 3500,7 ათ.ლარი წლიური გეგმის 95,36 %;
 - ქვეყნის დავდაცვისუნარიანობის ამღლების დაფინანსებამ შეადგინა 163,0 ათ.ლარი წლიური გეგმის 91,1 %;
 - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 9 704,8 ათ.ლარი, წლიური გეგმის 84,63 % ;
 - საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 1 947,1 ათ.ლარი, წლიური გეგმის 96,41 %;
 - სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 956,9 ათ.ლარი, წლიური გეგმის 88,78 %;
 - სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 709,4 ათ.ლარი, წლიური გეგმის 94,71 %;
- 2016 წელს მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 247,6 ათ.ლარი (დანართი #4)

განყოფილების თანამშრომლები ოპერატიულად ახორციელებენ საქართველოს მთავრობის განკარგულებებით, ინფრასტრუქტურული პროექტების დამფინანსებელი ფონდების მეშვეობით გამოყოფილი ფინანსების ბიუჯეტში ასახვას და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურებისა და იურიდიული პირების სრულყოფილი, ქმედითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებების მომზადებისა და განხორციელების პროცესს.

მუნიციპალური შესყიდვების განყოფილება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების განყოფილების სტრუქტურა ითვალისწინებს: განყოფილების უფროსს, წამყვანი და უფროსი სპეციალისტის თითო ერთეულს. განყოფილება დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. თანამშრომლებს შორის ფუნქციები განაწილებული.

საანგარიშო პერიოდში განყოფილება მუშაობდა და მუნიციპალურ შესყიდვებს ახორციელებდა წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. ბიუჯეტის პარამეტრების ცვლილებასთან ერთად ხდებოდა სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ცვლილებაც.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ მომზადებულია 354 ხელშეკრულება, მათ შორის გამარტივებული წესით 276, ხოლო სატენდერო პროცედურების საფუძველზე 78. აღნიშნული ხელშეკრულებებით სულ განხორციელებულია 13 486 382 ლარის საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვა.

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს შემდეგ უმთავრეს ფუნქციას/ამოცანას:

- საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვა.
- ჯანსაღი კონკურენტუნარიანი /არადისკრიმინაციული გარემოს შექმნა.
- შესყიდვის პროცედურის გამჭვირვალობა.

ამ ფუნქციებს განყოფილება ახორციელებს როგორც ელექტრონული ტენდერების ჩატარებით, ასევე გამარტივებული წესით შესყიდვის დროს.

განყოფილების თანამშრომლების მიერ, გამარტივებული წესით შესყიდვის პროცედურის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბაზრის მოკვლევას, რაც გამოიხატება შემდეგში: ყველა მსხვილ შესყიდვაზე ჯერ ხდება ბაზრის მოკვლევა ფასების, ხარისხის და საგარანტიო ვადის პირობების გათვალისწინებით და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მიმწოდებლის შერჩევა და ფორმდება ხელშეკრულება. რაც შეეხება ელექტრონულ და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებს ეს პროცედურები ჩვენს მუნიციპალიტეტში მაღალ პროფესიულ დონეზე ტარდება, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს ჩვენს საქმიანობაზე, არ გამოთქმულა არსებითი ხასიათის არც ერთი შენიშვნა. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 78 სატენდერო პროცედურა 9 523 528 ლარის ღირებულების საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესყიდვად. ამ პროცედურების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ 1673 881 ლარი ანუ მთლიანი სავარაუდო ღირებულების 17,75% შეადგინა.

მიღებულმა ეკონომიამ (1 673 881 ლარი) საბოლოო ჯამში მოგვცა ის შედეგი, რომ ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებით შესრულებული იქნა უფრო მეტი სამუშაო ვიდრე ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული.

განყოფილება სერიოზულად ეკიდება შესყიდვებთან დაკავშირებულ წერილებს და განცხადებებზე რეაგირების საკითხს.შემოსული ყველა კორესპოდენცია რეაგირებული და პასუხგაცემულია.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 28 დეკემბრის N3533 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ 2016 წლის 28 დეკემბრიდან 2017 წლის 20 იანვრამდე განახორციელა მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია.

კომისიამ მუშაობის წარმართვის საფუძველად გამოიყენა შემდეგი ნორმატიული აქტები: საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

ინვენტარიზაცია ჩატარებული იქნა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მუნიციპალიტეტს დარეგისტრირებული არ აქვს მის ტერიტორიაზე არსებული ე.წ. „ქარსაფარი ზოლები“ და მწვანე ნარგავები. საჭიროა საკადასტრო აზომვითი-გეგმარებითინახაზების შედგენა და მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირება, რაც თავისთავად მოითხოვს სპეციალისტებს, დროსა და ფინანსებს.

მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება ტრანსფორმატორები და ქვესადგურები. მათზე საკუთრების უფლება გადმოცემული იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13.06.2014 წლის N66 განკარგულებით. ამ ეტაპზე ვერ დადგინდა მესაკუთრე მუნიციპალიტეტსა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის. მიუხედავად მათთვის არაერთი მიმართვისა, ვერ იქნა მოპოვებული ტექნიკური პასპორტები აღნიშნულ ტრანსფორმატორებსა და ქვესადგურებზე.

მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. მათი უმეტესობა გაკეთებულია გასული საუკუნის 60-70 -იან წლებში. მას შემდეგ რამდენჯერმე განხორციელდა მათი დაგრიდებრა და დამუშავება. ამიტომაც ბალანსზე რიცხული გზები სრულად არ ასახავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე სრულ ინფორმაციას. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად საჭიროა საკადასტრო აზომვითი-გეგმარებითი ნახაზების შედგენა და მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნები, ხიდები, სასაფლაოები საჭიროებს საკადასტრო აზომვითი-გეგმარებითი ნახაზების შედგენას, შეფასებას, აქტივებად აღრიცხვას და მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირებას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსიდან მოსახსნელია მთელი რიგი აქტივები, რასაც ვერ ვახორციელებთ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო.

2016 წლის 7 მარტს სოფ. **ლიხაურის** ადმინისტრაციული შენობის გაქურდვის შედეგად დაიკარგა:

ა) ნოუთბუქი ღირებულებით 845 ლარი (ნარჩენი ღირებულებას 507 ლარი);

ბ) ფოტოაპარატი ღირებულებით 240 ლარი (ნარჩენი ღირებულებას 206,4 ლარი);

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

კომისიის მიერ საინვენტარო აღრიცხვის შედეგად ინვენტარიზაციის საფუძველზე შედგენილია :

1. ადმინისტრაციული შენობის ოთახების შემოვლის საინვენტარიზაციო აღწერა

2. სოფლების მიხედვით 2015 წლის 2 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული გარე განათების სისტემის შემადგენელი ნაწილების და შემადგენელი ქსელის აღწერა-ინვენტარიზაციის, სს „ენერგო პრო ჯორჯია“-ს მონაცემების შედარების შემდგომ მოწვეული აუდიტის მიერ შეფასებული ქონება (აუდიტის დასკვნა 030/3-0 დ.რ. 09.06.2016 წელი) შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით 1 264 325 ლარის ღირებულებით გადაეცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს - „მუნიციპალური მომსახურების ცენტრს“.

დაბა ნასაკირალში განხორციელებული იქნა არსებული წყლის მაგისტრალის შემადგენელი ცალკეული ობიექტების აღწერა-ინვენტარიზაცია, რომელიც მოწვეული აუდიტის მიერ 386 079 ლარად შეფასდა და გადაეცა შპს „სატის“.

აღწერის მიხედვით ბალანსზე რიცხული აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენს **36 878 404** (ოცდათექვსმეტი მილიონ რვაას- სამოცდათვრამეტი ათას ოთხასოთხი) ლარს. მცირეფასიანი, გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების ღირებულება შეადგენს 234 837 (ორასოცდათოთხმეტი ათას რვაასოცდაჩვიდმეტი) ლარს, ნულოვანი ნარჩენი ღირებულების მქონე აქტივები შეადგენს 811 052 (რვათერთმეტი ათას ორმოცდათორმეტი) ლარს.

განყოფილების თანამშრომლების მიერ მკაცრ კონტროლზეა აყვანილი მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული და პირად საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვის, მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების, მარაგნაწილებისა და საწვავის მიღება-ჩამოწერის დოკუმენტაციის წარმოება.

ჩვენს მიერ მიღწეული გარკვეული წარმატებების წინაპირობა გახლავთ ის, რომ წლის განმავლობაში გამგეობის ხელმძღვანელობის მხრიდან აქტიური მხარდაჭერით

სამსახურის თანამშრომლების უმრავლესობა სისტემატურად ესწრებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების - „ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების მხარდაჭერით, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო ხაზინის, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციისა და სხვადასხვა არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და ტრენინგებს საიდანაც შესაბამისი სერთიფიკატებით ბრუნდებოდნენ.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ყველა თანამშრომლის მიერ მინდობილი საქმისადმი სერიოზული და კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგია ისიც, რომ 2016 წლის ბოლოს მობილიზირებული იქნა სულ 2 628,5 ათ. ლარის შემოსავლები, რომელიც სრულად იქნა მიმართული 2017 წლისათვის დაგეგმილი ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში გვქონდა გარკვეული ხარვეზებიც, რომელთა აღმოფხვრას ვახორციელებდით გამგეობის სამსახურებთან კოორდინირებული და კოლეგიალური მუშაობის შედეგად.

**საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი:**

გ. მამაკაიშვილი